თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 4

ქ. თელავი 18.04.2024 წელი

თავმჯდომარეობდა: **ზურაბ ლილუაშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **უჩა ჭოტიაშვილი; თამარ ხატიაშვილი; ოთარი ესიტაშვილი; გიორგი ქართლელიშვილი; რუსუდან იმერლიშვილი; ნინო ომანიძე; იმედა კევლიშვილი;**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტარიელ გალახვარიძე;** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლია ფარსადანიშვილი;** საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი - **ნინო ასანაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, საბიუჯეტო განყოფილების უფროსი - **ნინო ჩურხაული;**

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი

<u>მოისმინეს</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

<u>**აზრი გამოთქვეს:**</u> ზ. ლილუაშვილმა ისაუბრა ბიუჯეტში ცვლილებასთან დაკავშირებით და განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, საბიუჯეტო განყოფილების უფროსი - **ნ. ჩურხაულს.**

მან აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რომლის ძირითადი მოტივი მდგომარეობს ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსებისათვის, კერძოდ, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული ცხაურების შეცვლის და ახლის მოწყობის სამუშაოებისათვის თანხის მობილიზებაში, რომლის გათვალისწინებითაც თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვროს 70441,96 ათასი ლარის ოდენობით.

მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის გადასახდელებში:

შემცირდეს გზების კაპიტალური შეკეთების (კოდი 02 01 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 25,0 ათასი ლარით წარმოქმნილი ეკონომიების გათვალისწინებით;

გაიზარდოს ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებების (კოდი 02 02 03) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 25,0 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული ცხაურების შეცვლის და ახლის მოწყობის სამუშაოების განსახორციელებლად.

კომისიის წევრების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ცვლილებას. მხარი არ დაუჭირა რუსუდან იმერლიშვილმა.

<u>გადაწყვიტეს:</u> კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, ბიუჯეტის ცვლილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ზ. ლილუაშვილი